საქართველოს მთავრობის

დადგენილება №101

2018 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 64.30.02.838; 64.30.02.895; 64.30.02.955; 64.30.02.956; 64.30.02.921; 64.30.02.883; 64.30.02.818 და 64.30.02.009 (ნაკვეთის ნაწილზე – 479 კვ. მ-ზე)) განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული რუკების სახით.

მუხლი 2

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**